სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/20

ქ. თბილისი 17 აპრილი 2024

„ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე“ ჩარიცხულ პირთათვის სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 მარტის №01-05-04/26 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 17 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სტუ-ში ჩარიცხული საქართველოს მოქალაქეებისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, რომლებმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 12 პუნქტის შესაბამისად, მოიპოვეს „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო

პროგრამაზე“ სწავლის გაგრძელების უფლება, სწავლის საფასური განისაზღვროს 2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224 ბრძანების საფუძველზე „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე“ ჩარიცხული პირებისათვის სწავლის საფასური განისაზღვროს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**